

სახალხო გაზეტი

სურათებიანი ჟამატიკა
გაზეტის № 541
ლაგატიკის № 95
კვირა, 4 მარტი 1912 წ.



რომანი, ნახატი კოტე ქავთარაძისა.

გამცემი

დრამა 3 მოქმედებად და 2 სურათად.

მოქმედების პირნი:

შაქრო ჩვილიშვილი	26	წლ.
მარიკო მისი დედა	50	”
თ-დ არჩილ დიდიძე	25	”
ელენე მისი და	20	”
დარია, მათი დედა	55	”
ნინა, მათი შორეული ნათესავი .	18	”
სიკო.		
ლევან.	შაქროს ამხანაგები 23—25	”
მინაკო.		

მოქმედება პირველი

(სცენა წარმოადგენს ოთახს მარიკოს სახლში ორი კარები: ერთი სიღრმეში, რომელიც სამზარეულოში გადის, მეორე მარჯვნივ—ქუჩაში მასთან

სარკმელი. მარცხნივ ფანჯარა, მის ახლო უბრალო მაგიდა, თეთრ სუფრით გადაფარებული. მარჯვენა კუთხეში ტახტი. ორიოდ ხის სკამი. უკანა კედელში მაროს განჯინა. ერთ კუთხეში მრგვალი მაგიდა, მჭკოვილი სუფრით გადაფარებული, ზედ ლამპა. საზოგადოდ სადა მოწყობილობა.)
შაქრო (ზის მაგიდასთან და წიგნს კითხულობს. შემოდის **მარიკო**).

მარიკო. რა ვქნა, რა უბედურობაა?.. ველარ გაძეხი მაგ წიგნებით? ან თვალები როგორ არა აგტკივა?.. ცოტა ხნით კარზე მაინც გადი: მიიხედ-მოიხედე... ეგები რა ხდება ქვეყანაზე?.. (ჩამოჯდება ტახტზე).

შაქრო. (მიუბრუნდება) ოჰ, დედავ! მობრძანდი?.. რა დაგიშავეს, მითხარი, ამ წიგნებმა?.. ქვეყანაზე რა ხდებაო?.. ვიცი კარგი, არა ხდებარა და სჯობს ისევ აქ ვიჯდე და ვიკითხო.

მარიკო. ვიკითხო!.. ბიჭო, გონზე მოდი, გონზე... ხო, ხედავ, შენმა წიგნებმა რა ღლეში ჩავვაგდეს! გენაცვალე, ასეთი უბედურობა გაგონილა კიდე სადმე?.. ჭკვიანი, ნასწავლი კაცი, შრომის მოყვარე და ასე ცუდათ, უსაქმოდ?.. გენაცვალოს, შეილო, დედა შენი, ვერ გაიგე, ამპარტავ-

ჩინეთის რევოლუციანი.



რესპუბლიკელთა დასჯა ფუცძიანში.

ნობით, სიამაყით ფონს ვერ გავხვალ!.. კილობანში დაღბებულ პურის მეტი არა ჰყრია რა... ფქვილიც გავვითავდა, ვალებით ყელამდინ ავივსენით, გროში კაპიკი არსად მოგვებოვება... რა ეშმაკით უნდა ვიცხოვროთ, როგორ და რა გავხდეთ?.. ვერც კი მომიფიქრებია... შენი სულის ჭირიმე, ხომ არას გავყვედრი, მაგრამ რა წყალში უნდა ჩავვარდეთ?.. დაგებრდი, დავსნეულდი, მუშაობის თავი აღარა მაქვს.

შაქრო. მაშ კუდად ყოფილა, დედილო, ჩვენი საქმე... ეხ! მე კიდე რა მიშავს, ცარიელ პურზედაც კარგად გავატარებ, მაგრამ შენ, შენ...

მარიკო. უი, ქა, ქა... რას ამბობ, შვილო რასა?.. ეგ რამ გათქმევენა?.. ჯანაბას ჩემი თავი, ნეტავი შენა მყავდე კარგად... ნეტავი შეიძლებოდეს რავე, განა ჩემ სიცოცხლეს კი დავზოგავ შენთვის?.. შვილო, გენაცვალოს დედა, აბა დამიგდე ყური, ნუ გაცხარდები... ხო ხედავ რა დღეში ვართ... ცოტათი თავი მოიხარე... ამპარტავენობა მდიდრებისთვის ერის გაჩენილი... როცა კუჭი შიმშილით გიხმება მაშინ თავის მეტის-მეტად მალლა აწვევა, სწორედ გითხრა, ნუკი დამებდურები, სისულელეა... მე ხომ იცი ახლა ბატონიანთსა ვიყავი.

შაქ. ბატონიანთსა!.. კიდევე ეგ საზარელი სიტყვა...

მარ. ჰო, კარგი, დამიგდე ყური... ბევრიც რო ხელები იქნია ბატონიანი მაინც ბატონებად დარჩებიან... რაც ღვთისგან გაჩენილია მე და შენ ვერ გადავაკეთებთ... ი ყმაწვილი, არჩილი ორი დღეა რაც რუსეთიდან მოვიდა, და შენ ჯერაც არ მისულხარ, ხუმრობა საქმეა, ორი წელიწადია ერთმანეთი არ გინახავთ... ერთად შეიხარდენით, ჩვენზე იმათ, ამოდენი ამაგი აქვთ დადებული... თუ სწავლა მიიღე, თუ ჩვენ შიმშილით არ ამოვწყდით,—ეს იმათი წყალობით... სულ შენა გკითხულობს არჩილი, ძრიელა სწუხს რატომ არა მნახავსო...

შაქ. რასაკვირველია ბრწყინვალე თავადს ეწყინებოდა, რომ მე აქნობამდისინ ირ ვიხელი და მშვიდობით მოსვლა არ მიულოცე... მერე მე, მათი ნაყმევის შვილი, მათი მოწყალებით აღზრდილი... ასეთი უმადურობა, ასეთი გაუზრდევლობა, თქმა არ უნდა, დიდ თავადს არ მოეწონებოდა...

მარ. არც მოსაწონია, სწორედ გითხრა... სიბრიყვეა და სხვა არაფერი... განა მოვალე არა ხარ რომ ნახო და პატივი სცე?.. რა ვიცი სხვამ ვინმემ ცოტაოდენიც რომ დაგავალლოს აღარ იცი როგორ გადაუხადო ხოლმე. ბატონიანთ კი, ვისიც მე და შენ ამოდენი ვალი და ამაგი გვმართებს, არც კი გინდა რომ ზრდილობიანად მოექცე...

შაქ. კარგი, დედილო!.. ჩვენ ამაში ვერ შევთანხმდებით და ტყუილ-უბრალოდ გულის ნუ გადმოიბრუნებ... ორი წელიწადია რაც მე იმათთან ყოველგვარი ერთობა და კავშირი შეგწყვიტე... ჩვენი და იმათი გზები სულ სხვა და სხვაა... ჩვენ და იმათ შორის ისეთი საშინელი უფსკრულია, რომ ამაო იქნება, და, არც სანატრელია ჩვენი შეხვედრა...

მარ. ნეტა ნუ დაიწყებ ხოლმე სისულელესა, ნუ ხარ ეგრეთი ბორბოტი და უმადური... ღმერთი არ მოგიწონებს, შვილო?.. ი ყმაწვილი ისეთი სიყვარულით გახსენებდა, და-

მიფიცა, როგორც ნამდვილი ძმა მიყვარსო... მაინც ძმები ხართ, შვილო, ძმები... ორივენი ჩემი ძუძუთი ხართ გაზრდილი...

შაქ. მე იმის ძმობა და სიყვარული არ მესაჭიროება... ჩვენ შორის საერთო არა არის რა... ბევრიც რომ ვიფიცოთ სიყვარული, თვალთმაქცობა და ფარისევლობა იქნება... მე გლენი, გლენის შვილი ვარ,—ის თავადი, ხალხის მტერი და ამით ყოველისფერი ცხადი ხდება... ნუ დაგავიწყდება რომ მაგ მშვენიერ ბრწყინვალე არჩილზე ჩვენი ძმების სისხლია... განა არ გახსოვს ამ ორის წლის წინად მაგის წყალობით რამოდენი ხალხი დაიღუპა?.. სწორედ გითხრა, მე ჩემს თავსაც კი ვსთვლი მონაწილედ იმ საზარელ საქმეში... იმდენად დაბრმავებულ ვიყავი მაგათი დავალებით, თვალები ისე მქონდა ახვეული... დარწმუნებული ვიყავი, არჩილი თავის დღეში მაგვარ ზომებს არ მიჰმართავდა. რას წარმოვიდგენდი რომ არჩილი უდანაშაულო ხალხს, ისედაც დაჩაგრულს და გაბედშვეებულს, ასეთ დღეს დააყენებდა, მის სისხლს დააღვრევინებდა...

მარ. დაიცა, შენ გენაცვალე, ი შენმა ხალხმა რაღა დღე დააყენა მაგათ? რატომ მაგას კი არ იტყვი?.. ერთი შენა გკითხო, შენ საკუთრებას რომ გართმევდნენ, მამულს ხელიდან გლეჯდნენ, შენ კი არ დაიცავ?.. ყაჩაღები რომ დაგეცნენ არ მოიგერებ?

შაქ. ხალხი თავისას თხოულობდა... ძალა არ უხმარია, პირიქით დიდი მოთმინება გამოიჩინა,—ეს შენც კარგად იცი... არჩილი აქ არ იყო, საქმის გარემოება არ იცოდა, ქორებს დაუჯერა და ძალას მიმართა... მაინცა და მაინც ვიდრე არჩილი ამ საზარელ საქმეს ჩაიდენდა, მე ჩემს თავს მათ წინაშე მოვალედ ვსთვლიდი... მათი წყალობით ავიხარდე... ჰო, არ დავიმალო, პატარაობისას თითქმის მიყვარდა კიდეც არჩილი; რასაკვირველია ბავშვს ბევრი რამ არ მესმოდა... მაგრამ იცი, რაც ჩემი თავი მახსოვს, ვგრძნობდი რომ ჩემ და მათ შორის დიდი საზღვარია... იმათი ლუკმა ყელზე მადგებოდა, არჩილის ნახმარ ტანისამოს მე რომ მაცმევდნენ, მამძიმებდა, მწვავედა... მის დანაშაულს მე რომ მამბრალედნენ, ყოველ მომსვლელ და წამსვლელ სტუმარს თავმოწონებით რომ უტხადებდნენ ჩემზე: „ეს ჩვენი ნაყმევის შვილი გახლავთ, ჩვენა ვზრდითო“, ყოველ წუთს, ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდი რომ მე მონა ვიყავ, მონის შვილი... არ ვიცი რითი და როგორ ამოვშალო ჩემი ცხოვრებიდან ის დრო... ჩემი სული იმდენად დამონებული იყო, რომ მაშინაც კი, როდესაც შევიგნე და ცხადათ დავინახე რომ ჩვენი გზები სულ სხვა და სხვაა, რომ ჩვენ სხვა და სხვა ბანაკში ვიმყოფებით, მე მაინც არჩილს ვებლაუქებოდი, ხშირად ვესარჩლებოდი... უნივერსიტეტშიაც კი არა ვწყვეტიდი მასთან კავშირს... ის საქმე, რომელიც არჩილმა ჩაიდინა ხალხის წინააღმდეგ, მოითხოვდა მსხვერპლს და მეც მოვალე ვიყავ ჩემი თავი გავენთავისუფლებინა მონობისაგან. მეუბნები: წადი არჩილის წინაშე თავი მოიხარეო, ხელ-ახლად კისერზე ის საზარელი უღელი დაიდგო, რომლისაგანაც ასე ძვირფასად გავნთავისუფლდი...


მარ. შენ სულ შენსას გაიძახი... ჯერაც არ გავგიგონია ეგები... შვილო, უმადურობა დიდი ცოდოა... ღმერთი არ მოგიწონებს...

ჩინეთის რევოლუციანი.



რესპუბლიკის კომიტეტის ჩამოხრობილ წევრის გვამი.

გაზიცვა ინგლისში.




მუშაობა მალარობში.

- შაკ.** კარგი, კარგი, დედილო... ავი გითხარი ჩვენ ამაში ვერ შევთანხმდებით და სჯობს მოვსპოთ ამაზე, ლაპარაკი...
- მარ.** ძალიან კარგი და მერე?.. საგაისოდ რაღასა ჰფიქრობ?.. რითი უნდა ვიცხოვროთ?.. კარი კარს ვიარო და მოწყალე ვითხოვო?.. ვინ რას მოგვცემს?.. ან და როგორ ვიარო?.. შენი სულის ჭირი, აბა შენ თავად მოიფიქრე... რა უნდა ვქნა, როგორ მოვიქცე?.. ან შენ რითი უნდა იცხოვრო?..
- შაკ.** აი მაგაზე ვილაპარაკოთ, თუ კი რასმე გავხდებით... ეს ერთი თვე გავგიჟირდება, და იმ თვეში კი უსათუოდ ადგილი მექნება... გუშინაც წერილი მომივიდა, იმ თვის პირველიდან მიმიღებენ... მართალია სახარბიელო არა არის რა, მაგრამ სულ უარარობასა, ნათქვამია, ცალუდელი ხარი სჯობიაო... როგორმე გამოვიკვებებით... მაგრამ ეს ერთი თვე კი?... ოხ, ოხერი უფულობა რა ცუდია... მეტი გზა არ არის. ისევ მელუქნე ბერუას უნდა შევეხვეწო, იქნება ნისიათ ცოტა რამე მაინც მოგვცეს... მაგრამ აბა რაღას მოგვცემს?.. ბევრი გემართებს... იმ დღეს ისეთი სიტყვები მითხრა, რომ სირცხვილით დავიწვი... ე—ეხ, (ამოიღებს საათს) მართალია ჩემთვის ძვირფასი სახსოვარია, მაგრამ სხვა არა გაეწყობარა... გირაოდ ამას მივცემ ბერუას... (გაიწვეს გასასვლელად).
- მარ.** მოიცა, მოიცა... საით გაეშურე?.. აქ მოდი აქა...
- შაკ.** (მობრუნდება) მაშ რა უნდა ვქნათ?..
- მარ.** აქ მოდი, დაჯექი... (შაქრო ჯდება) წელან ბერუას დუქანთან დამთხვეული სიკუა შემხვდა, ჩემი ნათლული... ისევ მოშავებულა... შაქროსთან საქმე მაქვსო, სადილად თქვენსა მოვალო... ერთი კარგად კი გამოგილანძღე, ნეტა რას დაეხეტები მეთქი, მაგრამ მეტი გზა აღარ იყო სადილად კი დავაბატოე...
- შაკ.** მერე?.. რითი უნდა გაუმსპინძლდეთ?.. რალათ შემაჩერე?.. უნდა წავიდე ბერუასთან, სხვა საშუალება არ არის.
- მარ.** მოიცა... იმ მშვენიერ სიკოსთვის ვიშოვით რასმე... ზურგიელია, ახალი თევზი, ყველი, მწვანილი, ცოტა ოდენი ღვინოც მოიპოვება (ამოიღებს ჯიბიდან პაპიროზებს და უთავაზებს) აჰა, მოსწიე, ვიცი უამისოდ ვერ გასძლებ...
- შაკ.** დედილო, საიდან?.. რა ვქნა შელოცვა იცი თუ შროგორ არი?.. აგრე უცბად საიდან გამოაჩენ ხოლმე?.. (გადაეხვევა და აკოცებს. მერე უცბად გაშორდება და დააცქერდება) აბა შემომხედე თვალეში... დედა?.. ნუ თუ კიდევ?..
- მარ.** რა შენი საქმეა? დამანებე, თუ ღმერთი გწამს, თავი... შენ კარგად იცი არ მოვიპარავდი, არავის გავცარცვადი... ვიშოვე... ვისესხე...
- შაკ.** ვისგან?.. მე კარგად ვიცი არავინ გვასესხებდა... დედი!.. ნუ მატყუებ... შენმა თვალემა ტყუილი არ იციან, მითხარი: იმათ გამოართვი კიდევ?..
- მარ.** გამოვართვი... მერე, რა გინდა?.. მე გამოვართვი,—შენ ხომ არა...
- შაკ.** ოხ, დედა, დედა!.. რა ჰქენი, რა? რა რიგად გთხოვდი, რა რიგად გეხვეწებოდი... იმათგან მიღებას, მოპარვა


- მერჩინა... გულში რომ ჩემთვის დანა დაგეცა ის სჯობდა...
- მარ.** მაშ რა უნდა მექნა, შეილო, რა?.. (ტირილით) შენა გგონია ჩემთვის კი ადვილია მოწყალეების მიღება?.. მაგრამ რა წყალში უნდა ჩავვარდე?.. სხვისგან მიღებას იმათგან ვირჩიე... ცოტათი მაინც დავალბებულნი არიან... მთელი ჩემი სიცოცხლე, ჯანმრთელობა მაგათ შევალბე... მე ჩემს თავს მაგათ სახლში არა მოჯამაგირედ არამედ ოჯახის წევრად ვსთვლიდი... მთელი მაგათი ავლადიდება ჩემ ხელში იყო, მე მებარა... არჩილი და ელენე ხომ ჩემი გაზრდილები არიან... იმ ყმაწვილს შევილათა ვსთვლი... ჩემი რძით, ჩემი სისხლით გამოვზარდე... ისევ მაგათი მოვალე ვიყო მირჩინა, ვიდრე სხვისი...
- შაკ.** ო—ოხ, კიდევ იმათი მოვალე... როგორ გაიხარებდა ბატონი არჩილი?.. რა ჰქენი, რა დედილო?..
- მარ.** არჩილმა არაფერიც არ იცის... ელენემ ჩუმად თავის ოთახში მომცა... ისე გაწითლდა საწყალი, ისეთი უცახცახებდა ხელები... მე კრინტიც არ დამიძრავს... თითონ შემიყვანა ოთახში და ყურში წამაჩურჩულა: „შენი ჭირი, მარიკო, ნუ კი გეწყინებაო... ვიცი რა დღეშია ცა ხართო... შაქრო უადგილოდ არისო!“ გადამეხვია, მკოცნიდა, მკოცნიდა... და თან ხელში ოცდა ხუთიანი ჩამიღო... მე ველარა უთხარი, ტირილი მომივიდა და ორივემ ქვითინი ამოუშვით... შაქროს ნუ ეტყვიო... პაპიროზიც იმან მომცა... შაქროს უყვარსო...
- შაკ.** (პლელვარებით) ნუ კი გეწყინება!.. თითონაც კი გრძნობდა რომ საწყენი იყო... გესმის?..
- მარ.** კარგი, შეილო, კარგი... თუ ცოდოა ჩემზე იყოს... ღმერთი მოწყალეა: იშოვი ადგილს, ჩაიგდებ ფულს ხელში და გაუსწორდები, დაუბრუნებ... (მოხევევა) შენ გენაცვალოს, ჩემი თავი, ჩემო ბიჭიკო!.. რა ვქნათ, რა უყოთ?.. ცხოვრება ჩვენზე ძრეილია... ქელი უნდა მოვიხაროთ...
- შაკ.** კიდევ მოწყალეა, ისევ მონად გავგზადეს... რატომ არ დაიკვებებენ ბრწყინვალე თავადები და მეც პირში ბურთს არ ჩამჩრინან... ჰა, ბატონო, სოციალისტო, მალე მოგვმართე, როცა გავგიჟირდამო!..
- მარ.** ქა, რას ამბობ, შეილო?.. ის საცოდავი ქალი ისე მეხვეწებოდა თითქოს ჩვენზე მახლობელი აღარავინა ჰყავდა... ქა და მეორეც ესა შენ ხომ არ აიღე, მე გამოვართვი...
- შაკ.** ეგ სულ ერთია... (კარს დააკაკუნებენ. შაქრო მივა და გააღებს შემოდის სიკო) ოჰ, სიკოს გაუმარჯოს!.. სადა ხარ, კაცო, სადა?.. აქნობამდის არა გვნახე...
- სიკო.** (მარიკოს) ნათლია ჩემს კიდევ ვახლავარ... მოვეუახლოვდი თუ არა თქვენს სახლს იმ წუთსვე ჩიხირთმის სუნი მეცა ცხვირში...
- მარიკო.** მოდი, მოდი... ჩიხირთმაზე კი უკაცრავად, და ერთი კარგა კი გავაძლობ... ახალ თევზს გაქმევ...
- სიკო.** ოხ, თქვენ პირს შაქარი... მაგაზე კარგი რაღა იქნება... (შაქროს) სხვა შაქრო, თქვენსკენ რა ამბებია?.. სწორედ გითხრა მეკი ვერაფრით ვერ გავახარებ... გუშინ ქალაქ-

გაზიცვა ინგლისში.



მუშაობა მალარობში.

მ ა ც რ ხ ი ს ს ა მ მ ა.



ელენე მაცოხი,

ორი წლით ციხე გადაუწყვიტეს.

დამაზი მაცოხი,

12 წლით კატორღა მიუსაჯეს.

მარ. ში წინაღამ მახეში არ გამაბეს... ძლივ დავალწიე თავი... ბიჭო, სულ ემაგრე უნდა იხეტილო?... რატო ე მამა-შენთან არ დაეგდები და არ დაწყნარდები?..

სიკო. ეგ მეტად რთული კითხვაა ნათლია ჩემო და ჩემი თავი ამ წუთს ისეთ მდგომარეობაშია, რომ... რომ, ერთი სიტყვით, ფილოსოფიურ ფსიხოლოგიურ საგნებზე მსჯელობას ვერ მოვახერხებ... წარმოიდგინეთ ეს იყო ეხლა თქვენკენ რომ გაიხლებოდით გზაში ერთ-ერთი უმშვენიერესი ქმნილება შემხვდა. რასაკვირველია, ნათლია ჩემო, თქვენ ადვილად მიხვდებით ვინ?..

მარ. უიმე, სწორედ იმ გადაყრუებულ ბებრუცანა ყაფლანიშვილის აშარი კნენა იქნებოდა... ისეც რა გითხრა კარგი ვინმე შეგხვედრია შენ...

სიკო. რაც შეეხება დიდ თავადს ასლან ყაფლანიშვილს, მის თქვენ მიერ დახასიათებას საესე-ბოტანიკაში... მხოლოდ თამრიკოზე კი... ოხ, ნათლია ჩემო, თქვენ, უკაცრავად კი გახლავართ და ესტეტიური გემოვნება სრულებით არა გქონიათ... წარმოიდგინეთ მისმა მომხიბლავმა არსებამ ისე წარიტაცა ჩემი გული და სული, ისე დამიბნია გონება, რომ... რა ვიცი... ახალი თევზი თუ გამომაბრუნებს, თორემ სხვა კი ვერა მიშველის რა.

მარ. მასხარა, მაინც მასხარად დარჩება... სწორედ გითხრა ის აშარი თამრიკო კი ასლი საშენოა... სულ შენისთანა ბიჭ-ბუჭებს აიტარდიალებს ხოლმე და დილიდან საღამომდის ვინ იცის სად არ დაეთრევა... ახი კია იმ ქოთაკ ასლანისთვის... რა-დროს იმისი ცოლი იყო... მეხი კი დაგაყარე კარგი ვინმე კი გადაგიკიდა... სწორედ შენი ჭკუისაა ი თამრიკო...

სიკო. მადლობას მოგახსენებთ კომპლიმენტისთვის... ხოლოდ უმორჩილესად გთხოვთ იმ ზეციურ არსებას ნუ შეეხებებით... თორემ... თორემ ვეღარც ახალი თევზი გამომაბრუნებს... უკაცრავად კი გახლავართ, ნათლია ჩემო, თქვენ როგორც გეტყობათ, გვიანი სადილი გცოდნიათ...

შაქ. დედა, სიკოს შიან და...

მარ. ეგ თამრიკოს ცქერითაც გაძლებოდა...

სიკო. ოხ, ნათლია ჩემო, ზედაც კი არ შემომხვდა, მე კი კინალამ თვალებით არ ჩაეყლაპე...

მარ. ნეტა რა ვქნა, მამა უცხოვნდება დიდი ვინმე ბრძანდება!.. (აღგება მიდის სამხარეულოში, მერე გამოაქვს ჭურჭეკელი და საქმელი, სუფრასა შლის).

შაქ. (სიკოს) მიკვირს ქალაქში ვაგიბდენია ჩასვლა...

სიკო. აკი წინაღამაც არ გამაბეს—წარმოიდგინე ჩვენებმა დამიბარეს, ცოტა რამ საქმე ჰქონდათ... ის იყო დღეს დილას ვაგზლისკენ გამოვწიე და გზაში კი ერთ პოლიციელს მივაწყდი, რომელიც მე მიცნობს... დამედენა, მაგრამ ხალხი ბლომად ირეოდე, გაქანებულ ტრამვაის ვაგონს შევახტი, ისე გადავრჩი განსაცდელს... მიხაკო და ლევანიც იქ, დამხვდნენ, ერთად წამოვედით იმათაც შენი ნახვა უნდოდათ. სადგურიდან სწორე გზით სიარული ვერ ვაგებდეთ ვშიშობდით, გზაში ისეთი არავინ შეგხვდესო. მოუახლოვდით თქვენ სოფელს, ქვეით ვენახებზე ამოვიარეთ... ის იყო თქვენ ბაღთან მოვედით და თქვენებური თვალგებინათ პეტრუა შეგხვდა... სად მიხვალ?..

მთელი პოლიცია ფეხზეაო... თურმე ყაფლანიშვილისთვის ვილაცას ძნა დაუწვია და პოლიცია გაცხარებული დამნაშავეს ეძებს... მიხაკო და ლევანი ისევ სადგურზე დაბრუნდნენ, მეც სოფელში შემოსვლა ვეღარ ვაგებდე და ტყისკენ ვაწვიე; ავედი ზევით მენახშირებთან, იქ ნაცნობები მყავს. .

მარ. (შემოდის შემოაქვს ახალი თევზი, ლვინო და სხვა) აბა, დაბრძანდით და შეექცით...

სიკო. ოხ, ნათლია ჩემო!.. აი მანდ, თქვენს ალაგას რომ მშვენიერი თამრიკო იდგეს და აი აქ ეს ახალი თევზი, არ ვიცი, სწორედ მოგახსენოთ, ვისკენ უფრო ვაგაწვდენდი ხელს... მაგრამ... ეხლა კი, უნდა გამოგიტყდეთ, ისე მშიან, რომ ამ თევზს თამრიკოზედაც არ ვაგვცვლი...

მარ. ნეტა რას ჩამოაცივდი იმ აშარს?... აბა თქვენ მიირთვით და მე გარედ ვავალ... არავინ მოეხიროს ისეთი... შენ, ვაჟბატონო, აქ რომ ვინმემ მოგასწროს, კეთილს არ დაგაყრიან...

სიკო. მთელი პოლიცია რომ თავზე დამადგეს, მე ამ თევზს მაინც არ მოგშორდები... თამრიკომაც კი რომ მთხოვოს...

მარ. კარგი, კარგი, გეყოფა ის შენი თამრიკო... (გაღის).

შაქ. აბა, სიკო, მიირთვი...

სიკო. ამაზე კი თხოვნა არ მინდა... (შეექცევიან და თან ლაპარაკობენ).

შაქ. ეს ძნის დაწვა რაღაა?..

სიკო. ჰო და ჩემი მოთხოვნა ვერ დავამთავრე... ძნა კი არ ვიცი ვის დაუწვია და მენახშირების ბინაზე კი პატრონების მაგივრად საპი ბიჭი დამხვდა... ერთი თქვენებური ტატე, აი ვაგარდნილი რომ არის, ორიც მისი ამხანაგი... ესენი იმ ჯგუფს ეკუთვნიან, ჩვენ რომ ჩამოგვშორდნენ და თავისუფალი მოქმედება დაიწყეს... რომ უთხარი შენთან მოსვლას ვაპირებ მეთქი მაშინათვე მირჩიეს, ხვალ მთელი დღით შენ და შაქრო სოფელს მოშორდითო... რა ამბავია?... ჯერ არ მეუბნებოდნენ, მერე კი გამომიტყდნენ... თურმე შეუტყვიათ თუ არა არჩილ დიდძის მოსვლა, წამოსულან... ხვალ საღამოზე აქაურ ფეოდალებს ყაფლანიშვილის სახლში კრება აქვთ... არჩილიც იქ წავა... ესენი ჩაუსაფრდებიან და... ჩვენი ბრწყინვალე არჩილი, მგონია, წუთი-სოფელს გამოეთხოვება...

შაქ. (წამოხტება) რას ამბობ... რასა?... ეგ როგორ შეიძლება?..

სიკო. ვითომ რატომოა?..

შაქ. უნდა დაუშალოთ... ხელი ავალდებინოთ... შენგან არ მიკვირს, სიკო, დღევანდელ პირობებში, მაგნაირი საქმე?... ხო მთელი სოფელი დილუბა?... არა... არ შეიძლება!.. უნდა ვნახოთ ბიჭები... დავაჯეროთ... აუხსნათ... სიკო, სიკო!.. ეგ არ შეიძლება, არა...

სიკო. მოიცა, მოიცა... ცოტა დამშვიდდი... მე კარგად მესმის... არჩილი შენთვის ვიცი რაც არის...

შაქ. მაგას ნუ ამბობ, ნუ... იქნება არჩილი ჩემთვის სხვაზე უფრო საზიზღარია... მაგრამ... მაგრამ მე... პრინციპიანლურად მაგვარ საქმეების წინააღმდეგი ვარ... ეგ ეხლანდელ პირობებში პირდაპირ პროვოკაცია იქნება... მთელ სოფელს გაანადგურებენ...
ი. გელევანიშვილი.

(შემდეგი იქნება).



ეპისკოპოსი გერმოგენი საქართველოში.